❖ სიჩქარე (მე-17 თავი)

მინიმალური სიჩქარე		მაქსიმალური სიჩქარე		რეპომენდებული

დასახლებული

დასახლებულ პუნქტში მაქსიმალური სიჩქარე 60 კმ/სთ-ია, თუმცა ვხვდებით ადგილებს, სადაც სხვა სურათია - გაზრდილი ან შემცირებული მაქსიმალური სიჩქარით.

საცხოვრებელ ზონაში, ანუ ეზოში - მაქსიმალური სიჩქარე 20 კმ/სთ-ით განისაზღვრა.

დაუსახლებელი

აქ სიჩქარის ლიმიტი იზრდება 80 კმ/სთ-მდე განურჩევლად ყველა საშუალებისთვის (მოტოციკლი, სატვირთო, სამარშრუტო).

ლიმიტი დაშვებულთან შედარებით ეზრდება მხოლოდ მსუბუქ, B კატეგორიის ავტომობილს იმ შემთხვევაში, თუ იგი მისაბმელის გარეშეა - 90 ჩვეულებრივ გზებზე, 110 კმ/სთ კი - ავტომაგისტრალზე.

	დაუსახლებელი	ავტომაგისტრალი
B-კატეგორია მისაბმელის გარეშე	90 კმ/სთ	110 კმ/სთ
B - მსუბუქი მისაბმელით	80 კმ/სთ	80 კმ/სთ
BE-კატეგორია *(დიდი მისაბმელი)*	70 კმ/სთ	70 კმ/სთ
ყველა სხვა *(A-მოტოციკლი, C-სატვირთო, B1-კვადროციკლი..)*	80 კმ/სთ	80 კმ/სთ

უფრო ნელა დადიან:	მაქსიმალური სიჩქარე:
ბუქსირება	50 კმ/სთ
მოპედი	45 კმ/სთ
ტრაქტორი და სხვა ნელმავალი საშუალებები	40 კმ/სთ
ორბორბლიანი ელექტრო თვითმგორავი	20 კმ/სთ